# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი №2

21 ოქტომბერი, 2005 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: არჩილ მიქელაძე, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, გია გარსევანიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: მთავარი ბუღალტერი დარია მიქელაიშვილი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი. წარდგენილ დღის წესრიგს ეყარა კენჭი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემიის ოდენობის განსაზღვრის შესახებ
(მომხს ი. ფაღავა)

2. სხვადასხვა

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემიის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურთა პრემირების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის ხელფასის ფონდი იძლევა პრემიის გაცემის შესაძლებლობას. პრემიის გაცემისათვის საჭიროა შეიქმნას კომისია და წევრებს პრემიის გასაცემი კომისიის თავმჯდომარედ წარუდგინა

| | |
|---|---|
| | გუგული დუაძის კანდიდატურა. წარდგენილ კანდიდატურას ეყარა კენჭი. |
| კენჭისყრის შედეგი: | მომხრე 5; |
| | წინააღმდეგი 0; |
| | კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი; |
| დაადგინეს: | უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემიის ოდენობის განმსაზღვრელი კომისიის თავმჯდომარედ აირჩეულ იქნეს კომისიის წევრი გუგული დუაძე. |
| კომისიის თავმჯდომარემ | პრემიის ოდენობის განმსაზღვრელი კომისიის მდივნად წევრებს წარუდგინა ქ. ჯიქიას კანდიდატურა. წარდგენილ კანდიდატურას ეყარა კენჭი |
| კენჭისყრის შედეგი: | მომხრე 5; |
| | წინააღმდეგი 0; |
| დაადგინეს: | უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემიის ოდენობის განმსაზღვრელი კომისიის მდივნად არჩეულ იქნას კომისიის წევრი ქეთევან ჯიქია. |
| კომისიის თავმჯდომარემ | კენჭისყრაზე დააყენა წინადადება კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემიის ოდენობის განსაზღვრის შესახებ. |
| კენჭისყრის შედეგი: | მომხრე 5; |
| | წინააღმდეგი 0; |
| დაადგინეს: | დაევალოს იურიდიულ სამსახურს, მოამზადოს განკარგულება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემიის ოდენობის განსაზღვრის შესახებ. |
| | უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, აპარტის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა პრემია განისაზღვროს შემდეგი ოდენობით: |

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე | -თანამდებობრივი სარგოს 20%; |
| თავმჯდომარის მოადგილე | - თანამდებობრივი სარგოს 20%; |
| კომისიის მდივანი | - თანამდებობრივი სარგოს 20%; |
| კომისიის წევრი | - თანამდებობრივი სარგოს 15%; |
| აპარატის უფროსი | - თანამდებობრივი სარგოს 70%; |
| სამსახურის უფროსი | - თანამდებობრივი სარგოს 70%; |
| მთავარი ბუღალტერი | - თანამდებობრივი სარგოს 70%; |
| თავმჯდომარის თანაშემწე | - თანამდებობრივი სარგოს 70%; |
| რეფერენტი | - თანამდებობრივი სარგოს 50%; |
| სპეციალისტები | - თანამდებობრივი სარგოს 50%; |
| მძღოლი | - თანამდებობრივი სარგოს 50%; |
| დამლაგებელი | - თანამდებობრივი სარგოს 50%; |

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი ა. მიქელაძე